საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №9/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 7 თებერვლის №9 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 მაისის №21/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ხმამაღალი ტონით მიმართავდა და დამამცირებლად ექცეოდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 26 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2016 წლის 22 და 25 ნოემბერს მოპასუხე მხარეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2017 წლის 10 თებერვალს -- -- დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 10.02.2017; 20.03.2017; 06.04.2017; 08.05.2019; 07.06.2019; 20.06.2019; 25.06.2019 წწ პერიოდებში.

2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით -- -- უარი ეთქვა დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2017 წლის 20 მარტს -- -- დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2017 წლის 20 მარტის განჩინებით -- -- შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე დაკმაყოფილდა.

2017 წლის 6 აპრილის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე №-- -- სარჩელი -- -- მიმართ უფლებამონაცვლედ ცნობისა და უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე შეჩერდა საქმის წარმოება, სამოქალაქო საქმეზე -- მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2018 წლის 17 დეკემბრის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე № -- -- სარჩელზე მოპასუხე -- -- მიმართ, უფლებამონაცვლედ ცნობის, უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე.

2019 წლის 25 ივნისს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 25 ივნისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2019 წლის 3 ივლისს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2019 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმება ითხოვა.

2019 წლის 23 ივლისს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

2019 წლის 31 ივლისს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 19 ივლისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა 7 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად.

2019 წლის 6 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად -- -- განესაზღვრა 7 დღე განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან და დაევალა: - სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ იღებს საარსებო შემწეობას, ან წარედგინა სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ოდენობით გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

2019 წლის 19 ივლისის განჩინებით -- -- დაევალა წარედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი, დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშთან და შედგენილი იქნოდა ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით; ასევე დაევალა განესაზღვრა უძრავი ქონების ¾-ის ღირებულება, აღნიშნული პერიოდის მდგომარეობით არსებული საბაზრო ფასით და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის სახით გადაეხადა ამ ნივთების ღირებულების 4%.

2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- დაევალა წარედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი, დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი; ასევე დაევალა განესაზღვრა უძრავი ქონების ¾-ის ღირებულება, აღნიშნული პერიოდის მდგომარეობით არსებული საბაზრო ფასით და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის სახით გადაეხადა ამ ნივთების ღირებულების 4%.

2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

2020 წლის 16 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს

2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ხარვეზის შევსების მიზნით განსაზღვრული ვადა გაგრძელდა 5 დღით.

2020 წლის 16 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 6 სექტემბრის განჩინებით ხარვეზის შევსების მიზნით განსაზღვრული ვადა გაგრძელდა 5 დღით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 მაისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 7 თებერვლის №9 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.“

საკითხის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ როგორც ეთიკის სტანდარტები, ასევე საპროცესო კანონმდებლობით გნასაზღვრული რეგულაციები. კერძოდ:

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს უნდა სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან.[1]

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან. ხოლო, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ამასთან, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების 214-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არასდროს არ უნდა გააწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა უსაფუძვლოდ და მრავალგზის, არ უნდა გააკეთოს შეურაცხმყოფელი ან დამცინავი კომენტარი ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებების თაობაზე. მეორე მხრივ, არცერთი მოსამართლე არ არის ვალდებული, მოუსმინოს ადვოკატს, რომელიც ბოროტად იყენებს პროცესს, აშკარად უსაფუძვლო და გაუმართლებელი, სუსტი მოსაზრებები მოჰყავს, ან შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს, სხვა ადვოკატებს, საქმის მხარეებსა თუ მოწმეებს, და არ შეაწყვეტინოს მას სიტყვა.[2]მოცემულ საქმეზე, სხდომების აუდიო ჩანაწერების დეტალურად მოსმენის შედეგად, იკვეთება ის გარემოება, რომ მოპასუხე მხარეს მოსამართლე მიმართავს შემდეგი სიტყვებით: - „არ შეგიძლიათ ქალბატონო, ქართულად ვსაუბრობ, ჩინურად არ ვსაუბრობ მემგონი ხომ?“ (11:34:04; 10.02.2017 წ); - „გაგაძევებთ სხდომის დარბაზიდან, სულ არ დაგვაკლდება თქვენი არ არსებობა დარბაზში დამერწმუნეთ“ (17:12:04; 20.06.2019 წ); - „დაგატოვებინებთ დარბაზს, მეორედ გაფრთხილებთ, გასაგებია? თქვენ რა გაინტერესებთ, მე სულ არ მაინტერესებს“ (17:34:21; 20.06.2019 წ).

ის გარემოებები და საერთო ფონი, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლემ გააკეთა სადავო განცხადება, არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ მოსამართლეს განზრახვა, ან სურვილი ჰქონდა მხარისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს განმარტებას წინ უსწრებს მოპასუხე მხარის უკმაყოფილო კომენტარი, რის შემდეგაც სასამართლო პასუხობს განცხადებას.

ამრიგად, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, არ ქმნის საკმარის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის

[2] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №9/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი